# გადაწყვეტილება

N გ-20-7/899
10/12/2020

899-გ-20-1-4-202012101955

**რადიომოყვარულ ალექსანდრე ჩაკვეტაძისთვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისთვის სახმობის მინიჭების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-20-9/6025, 30.11.20) მიმართა მოქალაქე ალექსანდრე ჩაკვეტაძემ სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის სახმობის მინიჭების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ ალექსანდრე ჩაკვეტაძე არის „A“ კატეგორიის ვეტერანი რადიომოყვარული და კომისიის 2012 წლის 29 ივნისის № 442/7 გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს სახმობი 4L4P. მინიჭებული სახმობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით, იგი ითხოვს მისი ხელახალი ვადით მინიჭებას.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის $47^1$ მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ $51^5$ მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, კომისიამ კენჭრისყრის შედეგად ერთხმად

**გადაწყვიტა:**

1. მიენიჭოს რადიომოყვარულ ალექსანდრე ჩაკვეტაძეს სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის და დანართში (თან ერთვის) მითითებულ სიხშირულ დიაპაზონებში საქმიანობისთვის, სახმობი, ცხრილში აღნიშნული მონაცემების შესაბამისად 5 წლის ვადით **2020 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე:**

| **რეგისტრაციის №** | **რადიოსადგურის მფლობელი** | **რადიოსადგურის განთავსების ადგილი** | **სახმობი** | **კატეგორია** |
|---|---|---|---|---|
| R1 - 01 | ალექსანდრე ჩაკვეტაძე | ქ. ბათუმი, გიორგი ბრწყინვალეს ქ. 11 | **4L4P** | **„A“ ვეტერანი რადიომოყვარული** |

2. რადიომოყვარული ალექსანდრე ჩაკვეტაძე, რადიომოყვარულთა საერთაშორისო გაერთიანების (IARU) მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად, ვალდებულია დაიცვას ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ განსაზღვრული რადიოსამოყვარულო სამსახურის რეგულირების ზოგადი პრინციპები და ასევე სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელების წესები;

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის მოქალაქე ალექსანდრე ჩაკვეტაძისთვის გაგზავნა (ნ. ჯავახიძე) და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება (ნ. შოვნაძე);

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) მოქალაქე ალექსანდრე ჩაკვეტაძისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ელისო ასანიძე

წევრი